საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 20 0000896835

25/09/2020

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 272 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 32 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 276-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის დებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.
1.4. აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.
1.5. აკრედიტაციის დებულების 275 მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება
2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), 2020 წლის 27 იანვარს შემოვიდა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის N03-588 (ცენტრში რეგისტრაციის N81406) სააკრედიტაციო განაცხადი "გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.
2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 მარტის №296513 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 18 მაისის №387667 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 17 ივლისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში და 2020 წლის 9 სექტემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 11 სექტემბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები, კერძოდ საბჭომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა პირველ სტანდარტთან მიმართებით უნდა შეფასებულიყო როგორც - მეტწილად შესაბამისი, ხოლო მე-2 სტანდარტთან - ნაწილობრივ შესაბამისი. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 3 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის და 32 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272მუხლის პირველი პუნქტის, 275მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 12ხმით არცერთის წინააღმდეგ.

გადაწყვიტა:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "გლობალური და უსარფთხოების სწავლებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის სხდომის №896768 ოქმის №02 ნაწილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტის გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:
პროგრამაში ასახული ინფორმაცია შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკასთან და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების საკითხები ფორმულირდეს იმგვარად, რომ არ იძლეოდეს მის განსხვავებულად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.
ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, კონცენტრაციები მოცემული იყოს აუცილებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად და მოხდეს კონცენტრაციების სწავლების შედეგების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგებში.
პროგრამაში მოცემული ინფორმაცია, განსაკუთრებით, კვლევითი კომპონენტის შესრულებასა და დაცვასთან დაკავშირებით, უნდა იყოს მაქსიმალურად მკაფიოდ ჩამოყალიბებული და მასში

აისახოს დაწესებულების მართებული პრაქტიკა სამაგისტრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებით ისე, რომ არ ჩნდებოდეს კანონმდებლობასთან ფორმალური შეუსაბამობის შესახებ რაიმე ეჭვი ან ილუზია.
ა)პროგრამაში ასახული ინფორმაცია შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკასთან და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების საკითხები ფორმულირდეს იმგვარად, რომ არ იძლეოდეს მის განსხვავებულად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.
ბ) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, კონცენტრაციები მოცემული იყოს აუცილებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად და მოხდეს კონცენტრაციების სწავლების შედეგების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგებში.
5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 11 სექტემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გლობალური და უსაფრთხოების სწავლებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი; უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია, 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 11 სექტემბერი

17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 11 სექტემბერი